№ 37. 19 თებერვალი, შაბათი. 1866—1883 19 თებერვალი, შაბათი. № 37.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი; პატარა ასოებით— ასოზე ნახევარი კაპეიკი, სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

სამშაბათს, 22 თებერვალს
ტფილისის კრუჟოკში
გამართული იქნება
## ბალი
ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილ კაბებით იყვნენ.

ბილეთები წინდაწინვე ისყიდება შავერდოვის საგაზეთო სააგენტოში, ხოლო ბალის დღეს—თვით კრუჟოკში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### სამზღვარ გარეთიდამ

17 თებერვალს

პარიჟი. დენ. რობერტის წინადადების შემდეგ, პრინცების საქმეების შესახებ, სენატი 154 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 110 ხმისა შეუდგა მორიგ საქმეების გარჩევას.

ბერლინი. ჰერცოგი და ჰერცოგის ედინბურღისა წავიდენ ინგლისში.

სტამბოლი. ედჰემ-ფაშა დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად.

### რუსეთიდამ

17 თებერვალს

პეტერბურღი. „Новое Время"-ს სიტყვით ერთი ნაწილი გვირგვინის კურთხევის განმკარგულებელის კამისიისა ამ ჟამად მოსკოვშია უგვიმეორე ნაწილი-კი მარტში გაემგზავრებაო. მოსკოვში დიდი მზადებაა.

ქალაქის გამგეობის წინადადება კვირა-უქმე დღეობით ვაჭრობის მოსპობაზედ უარ-ჰყო ქალაქის რჩევამ 121 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 20 ხმისაო.

ხმებია, რომ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში ხელ-ახლად არსდება რამდენიმე შაქრის ქარხანა, რომელნიც, საქმეების ცუდად მსვლელობის გამო, დაიხურენ და ზოგიც ახლად არსდებაო.

ოდესსა. ნავთ-სადგური სრულიად გაიწმინდა ყინულისაგან და ყველა გემება შემოვიდენ. ტვირთვენ 42 გემს, პორტი სავსეა პურის ურმებით.

### დღიური

გაზ. „Голосъ"-ის მე 42 №-ში დაბეჭდილია ვრცელი მოწინავე სტატია, რომელიც შეეხება ჩვენი მხრის მდგომარეობას.

საჭიროდ დავინახეთ, მოგვეყვანა მოკლედ ზოგი ადგილები ამ სტატიიდამ.

„უკანასკნელი რუს-ოსმალოს ომი იყო მიზეზი, ამბობს ხსენებული სტატია, რომ უფრო დაწვრილებით გაიცნო რუსეთმა კავკასიის მხარე. ამ გაცნობას მოჰყვა შედეგად ის აზრი, რომ დრო მოისპოს ის განსაკუთრებული მართველობა კავკასიის მხრისა, რომელიც იქნობამდი იყო საჭირო ისტორიულის მიზეზებისა გამო და ან კი დაჰკარგა სრულიად მნიშვნელობა.

სრული მშვიდობიანობა ამ ქვეყანაში, ტელეგრაფისა და რკინის გზების შემწეობით მისი დაახლოვება რუსეთთან, სადაც იმყოფება უმაღლესი მთავრობა, დასასრულ განვითარება და განათლება ამ მხარესი, საჭიროდ ხდიდენ კავკასიის განსაკუთრებითი მმართვის მოსპობას, რადგან იგი მმართვა არც სახელმწიფო ინტერესებს და არც განაკიდის ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება. ადმინისტრაციულს და კანონმდებლობითს განცალკევებას კავკასიისას, რომელსაც სულს არ უდგამდა არც ვრცელი რამ აზრი და იდეა და არც პირადი ნიჭიერება მოღვაწეთა ამ მხარეში, ჰქონდა მხოლოობით შედეგად უნაყოფო და უმნიშვნელო ხარჯვა ქვეყნის შეძლებისა ბიუროკრატიულ დაწესებულებათა განსამრავლებლად. ამ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებაც სხვა-დასხვა მამულების სარწყავი არხებისა და რუების გაუერანებისა და მიტოვებისა გამო, რომელიც აოხრებული ქვეყნის რუსთ მფლობელობაში გადასვლამდე, უფრო გაცუდდა. მაჭრობა და წარმოება მრავალ მიზეზებით, უმთავრესად-კი უგზობის მიზეზებით, თანდათან ეცემოდა. გზითავ-სუფლება დამოკიდებულ წოდებათა ფაქტიკურად, ისიც მართო ზოგან და არა ყველა ალაგას, ჯერ-ჯერობით არის მხოლოდ მოსპობა პირადის დამოკიდებულებისა ბატონსა და ყმასა შორის; მკვიდრი განკარგება კი მიწად-მომქმედთა ყოფა-ცხოვრებისა ვალდებულებითი ურთი-ერთობის მოსპობის შემწეობით ანუ „უსტავნი გრამატების" შემოღებით ჯერ შორს არის. დამიჯნავა სამიწა-წყლო საკუთრებათა ეს ქვაკუთხედი ეკონომიურის წარმატებისა ყოველ მოქალაქეობრივის საზოგადოებისათვის, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ჯერ არცკი დაწყობილა, თუმცა დიდი ფულია დახარჯული ამ საგანზე. ერთი უდიდესი რეფორმათაგანი წარსულის მეფობისა—სამსაჯულო რეფორმა, შემოღებულია ამ მხარეში და იმ გვარად, რომ გარყვნა ხალხი და დაჰბადა ისეთი წყობილება, საცა სამართალს ვერ იპოვი. საზოგადოებრივ მეურნეობას, გარდა ზოგიერთა ქალაქებისა, განაგებს პოლიცია იმ წესით, რომელიც კარგად ცნობილია უძველესის რუსეთისათვის. ხალხის განათლებას მცირეოდენი წარმატება მიეცა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში.

ამ ქვეყანაში, თუმცა სრული მშვიდობიანობაა, სდგა 130,000 ჯარი და მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო ფინანსებს. თუმცა ამ გარემოებამაც კი არ დაგვიხსნა უკანასკნელ ომის დროს სრულიად დაღისტანის და ჩეჩნის აჯანყებისაგან, სოხუმის დაწვისა და საგრძნობელ დამარცხებისაგან,

«დროების» ფელეტონი, 19 თებერვ.

### სცენა სოფლის ცხოვრებიდამ

(ბანზედ სხედან სოფლის გოგოები: მარუა, სოფუა, ფეფელა და ერთმანეთს უამბობენ, ქორწილს როგორ მოიარეს.)

მარუა. ძმები არ დამეხოცოს, ჩვენისთანა დროება არავის არ გაეტარებინოს, ი ზერისთავი არ გამიწყრეს. ჯერ ერთი ეს გითხრათ, გოგოებო, გზაში რა ყოფით მივდიოდით: იმოდენა ორღობეები სულ ბუზიკის კვრით გავიარეთ. ჩვენი ისაკა ურმის ბოლოზედ მოგვდევდა და სულ გულ-საკლავად ატირებდა ბუზიკას, რეებს არ ათქმევინებდა: „პერდაგანი ავილეთო", „ტანციური", ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამები, სულ ქალაქური...

ფეფელა. ი, გოგოჯან! ჩვენ პატარძალს რა ნაირად უნდოდა ერთად წავსულიყავით ჩვენა და თქვენა, მაგრამ სახელი რომ გაუწყდეს ჩვენ ლაშფანდურა რძალსა, ლამის თავი მოიკლა, ჩვენ ჩვენთვის წავიდეთო...

სოფუა. ეგ რა უბედური რამა გყავთ უადამიანო და მიუკარებელი; ის არ ერჩივნა, ერთად წასულიყავით, კაი დროება გაგეტარებინათ.

მარუა. ჭირი მომჭამოს!... ახლა, გოგოებო, რომ მივახლოვდით, გწყალობდეთ იმის მადლი, ცოტა შორი ახლო ურემი დავაყენებინეთ პეტრიას, გავისწორეთ თავები, შუშტაკი გადავიკარით სახქაროთ; ავიდით ურემში და ჩავსხედით. ლამაათ ყელ-მოღერებულები მივედით საცა ბინა გვქონდა აჩენილი და გადმოვხტით. დავფინეთ ჭილობები, მშვენივრად ჩავამწკრივეთ მუთაქები, ავედი და მოვიღერე ყელი მუთაქაზედ...

სოფუა. მა, პატარძლად ხომ არა გსვამდნენ, შე გასავლეჯო!...

მარუა. თვალიმც გამოგჭყეტია! მოვიდა ისაკა და მითხრა, ადე, გოგო, წამოდიო, რას გამოჭიმულხარო ერში დავიაროთ გავშინჯოთო...

ფეფელა. იქ ვიდექით, რომ გამოიარეთ. ზაბერილი რომ მიდიოდი, მეხი კი დაგეცა მაგ ლოტრანა თავზედ, ზედაც არ შემომხედა, ვითომ ვერ მიცანი!...

მარუა. იქვენი იკვნესე, რომ შენ მაშინ იქ არა მდგარხარ.

სოფუა. იქვე არ ვიდექით მე და მარმარას რძალი, სარეცხის გორდას რომ ვარჩევდით...

მარუა. მამა არ წამიწყდეს არ დამენახოთ...

სოფუა, ჰო, კარგი, მერე?

მარო. ახლა, გოგო, მივდივართ ერის დასათვალიერებლად და ვნახოთ, შენი ბოჩალიანთ ტატუა წინ მოუძღვის, უკან მოსდევენ თიკუა და თავიანთ პრუწია პატარძალი ხელ-ჩაკიდულები. პატარძალს, ქალოჯან, მწვანე პარჩის კაბა ეცვა პრუშებით მორთული, ჭიაფერის სარტყელ-გულის პირით, მალათიანი ჩიქილა, წითელი ფელჩატკები, თავზედ თეთრი ბალდადი—სულ კალცები იყო ზედ დახატული, მირინოზის პოლსაპოჭკები პუპუცებიანი, მაგრამ, გოგოებო თითონ კი, ღმერთმა შეინახოს, ისეთი ცხვირი ჰქონდა იმ ამოსავარდნელსა გორგომიჭელას უგავდა, თვალები კურდღლის ბაჭიასავით დაჭყეტილი. ერთი სიტყვით სწორედ ბოძიანთ პატუას შეკერილი თოჯანას ჰგავს. დაუდგა თვალი ტატუასა, იმ სიმორეზედ რომ იმისთვის არ გაქცეულიყო, აქ ცოტანი ყრიან მაგისთანა კვრინჩხა გოგოები. მაგრამ რაკი სხვა ქვეყნის მოყვანენ ასე ჰგონიათ, უთუოდ კარტინკა იქნებაო, მაგათ თვალებს ამაზედ არის ნათქვამი — „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო".

ფეფელა. ქიდეც მაგისთვის მისცეს ხუთი თუმანი და კაი ძროხა, რომ ფილთა-ქვასა ჰგავს; თორემ ლამაზი რომ ყოფილიყო, მაგას ვილა მიაშავებდა არ გაგიგონია: „ქოთანმა იგორა—სარქველი იპოვაო".

სოფიო. რათაო ქა, ისეთი კაი ოჯახის ქალები ეძლეოდენ, ძმა არ მამიკვდეს, რომ... დიდი ოტატი რამ არი იმის კუდიანი დედა, ასე ამბობენ, ათ თუმნადინ ჯერ მარტო გავალებული აქვსო, მაგის მეტი ვინა ჰყავს რა, მაგათთვინ არ უნდა?

მარუა: ახლა ისეთ ნაირად წავგლისა, გოგო, ფერ უმარილი, გვგონებოდათ გაჯით ამოუგლესია თავპირიო. ოფლისაგან სულ ნიკაპზედ მოგროვებოდა უმარილი და სულ ღორის ქონივით ბზინავდა! დაწყევლა ღმერთმა, ზოგიერთი ისე როგორ წაითუთხნებიან ხოლმე?!

სოფუა. ივ, თვალიმც დაუდგებათ, მე მეჩქარება, კრუხ-წიწილა დასაბუდებელი მყავს. ერთი შენ მერითო,

რომელთაც კინაღამ უბედურება არ მოჰყვა.—და აი, ყველა ამ გარემოებათა გამო საჭიროდ შეიქმნა კავკასიის მმართველის შეცვლა. ამ მეფობაში მოსპობილ იქმნა ნამესტნიკობა, რომლის მაგიერ დაწესდა მთავარ-მმართველობა, რომლის წარმომადგენელს მოქალაქობრივის ნაწილს გარდა ხელთ უპყრია მთავარ-სარდლობა ქვეყნის ჯარისა. ეხლა, როგორც ვიცით, კანონ-მდებლობითი მუშაობა ახალის პროექტის გამოსაკვლევად კავკასიის მმართველისათვის და გამგეობისათვის.“

შემდეგ მოხსენებულია, რომ კავკასია იყოფა ერთობ ბევრ ადმინისტრატიულ ნაწილებად რის გამოც ხარჯი დიდია და გამოთქმულია სურვილი, რომ ბათუმის და სოხუმის ოლქი შეუერთდეს მომიჯნავე ქუთაისის გუბერნიასო, როგორც ეს კიდეც ისმის ამ უკანასკნელს დროსაო. სხვათა შორის არ დაარღვევდა წესიერებას და მყუდროებას არამედ საგუბერნიო დაწესებულებებისათვის სასარგებლო იქნებოდ, რომ ესევე მოქცეული ყვნენ ყარსის, ზაქათლისა და შავის-ზღვის ოლქის შესახებ.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ყუზანოვის, ხანდამოვისა და ალ ჯანოვის ვექილის გ. ბარბოვსკი-ზარანეკის საჩივრით თ. ნაპოლეონ ივ. ამატუნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით საქმე დაწყებულია სხვის კუთვნილი უძრავ მამულის გაყიდვისათვის. საქმე აი რაში მდგომარეობს:

თავად ამატუნების მამულის ჩუღურეთის გამიჯნვის დროს, ერთი ნაჭერი ალაგი, სივრცით 773 ოთხ-კუთხი საჟენი, რომელიც ქალაქს საკუთრებას შეადგენდა, ერგო, თ. ნიკ. რ. ფ. ამატუნს და იმას მიუმიჯნეს. ეს ნიკ. რ. ფ. ამატუნი დღეს გაკოტრებულად არის გამოცხადებული. მეორე ნაჭერი ალაგი სულ 12,000 ოთხ-კუთ. საჟ., რომელიც აგრეთვე ქალაქს საკუთრებას შეადგენდა, ერგოთ თ. თ. ნაპოლეონ და მიხეილ ივანეს ძეთ ამატუნებსა და ნიკ. რ. ფ. ამატუნს.

ორივე ეს ალაგები გამიჯნვის დროს ცარიელი, დაუსახლებელი იყო.

შარშან, როდესაც გაკოტრებულ თ. ნიკოლოზ ამატუნის საქმეების თაობაზედ შემდგარი კონკურსის გამგეობა შეუდგა ამის მამულების აღწერას აუქციონით გასასყიდლად, ორივე ეს ალაგები დასახლებული აღმოჩნდა; პირველი ამ ალაგთაგანი რვა ნასყიდობის პირობით თ. ნაპ. ამატუნს სხვა-და-სხვა პირებისათვის მიუყიდნია და მეორე ალაგიდამ რაც სახლების ასაშენებლად გამოდგებოდა, თ. ნაპ. ამატუნის აგრეთვე სხვა-და-სხვა პირებისათვის მიუყიდნია სამოც-და-ოთხის ნასყიდობის წერილის შეკვრის დროს თ. ნაპ. ამატუნი არწმუნებდა მყიდველებ, რომ ეს მამული მარტო მე მეკუთვნისო და სხვა ამატუნებს არაფერი წილი არა აქვთო.

ამას გარდა ჩუღურეთის მინდვრები მიუმიჯნეს აგრეთვე ზემოხსენებულ თ.თ. ამატუნებს ყველას ერთად: სოფიო ტერ მაკირტიჩიანცისას და მკატერინე ნადიროვისას. 1874 წელს თ. ნაპ. ერთი წილი ამ მინდვრებისა ბრიქუროვს მიჰყიდა და ამას გარდა სხვა-და-სხვა პირებს მიჰყიდა 509 ოთხ-კუთ. საჟ. სახლების ასაშენებლად.

ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ გამიჯნვის გამგეობისაგან (მეჟევოე პრისუტსტვიე) დანიშნულმა ჩინოვნიკმა მიჯნის ნიშნებით დაამტკიცაო, რომ მართლაც თ. ნაპოლეონ ივანეს ძეს ამატუნს სხვისი მამულები დაუსაკუთრებია და გაუყიდნიაო.

ამას გვაცნობებენ ჩვენ, და ჯერ, სანამ სასამართლოს არ განუხილავს საქმე, რასაკვირველია, ძნელია გადაწყვეტით თქმა იმისა, რომ ყველა ეს სასამართლოშიაც დამტკიცდება თუ არა. მაგრამ თუ დამტკიცდა, ამ გვარ მოქმედების ჩამდენს, დასჯათა წესდების მე-1699 მუხლის ძალით, ყოველ ღირსების ჩამოხსნა და ციმბირში დასასახლებლად გაგზავნა მოელის.

* * *

ზამოცხადების-მებრ, გასულ ოთხშაბათს ბ. ა. დ. ყიფიანმა თავის ბენეფისისათვის დადგა შექსპირის ხუთმოქმედებიანი დრამა „მეფე ლირი“. დადგა, მაგრამ ვაი ამისთანა დადგმას: ჩვენ, მაყურებელნი შეგვაწუხეს და თითქმის ამ საღამოს სრულებით დაგვავიწყეს ყველა ის დამსახურება, რაც ჩვენს დრამატიულ დასს მიუძღვის ქართულ თეატრის საქმეში, სუფლიორს სიმწრის ოფლი ადინეს და თვითონაც შერცხვნენ.

გარდა თვითონ მობენეფისესი ბ. კ. ყიფიანისა (მეფე ლირი), ა. მესხისა (ხუმარა) და საფაროვის ქალისა (კორდელიასი), რომელთაც იცოდენ თავიანთი როლები და გვარიანადაც ითამაშეს, სხვები ისეთი საზარელი სანახავი იყვნენ სცენაზედ, რომ მაყურებელს სურვილი მოსდიოდა: ნეტავი ერთი ცოცხით გამარეკინა ესენი გარეთო! არც ერთს, არა თუ როლის ცოდნა, როლის წაკითხვა არ ეტყობოდა, ბ. ვ. აბაშიძე (ინტრეპრენიორი ჩვენი ტრუპისა—მაგალითის მიმცემი) სწორედ ისე იდგა სცენაზე და სიტყვა-სიტყვით, ჩათვლით, იმეორებდა სუფლიორის სიტყვას, როგორც გაკვეთილის არ-მცოდნე შაგირდი თავის ამხანაგის „პოდსკაზით“ იმეორებს. ვწუხდით, როცა ბ. მ[illegible]ხე-ეს (ედმუნდს) ვხედავდით სცენაზე, გვაწუხებდა კორნველის მეუღლის დანახვა, ვწუხდით, როდესაც ქენტს ვხედავდით, გვაწუხებდა რეგანასა და გონერილიას დანახვა.

და მხოლოდ ამას ვთხოვთ ჩვენ დრამატიულ დასს, რომ მეორედ ასე ნუ შეგვაწუხებენ, თორემ დარწმუნებული იყვნენ, რომ ამას საზოგადოების გულ-გრილობა მოჰყვება ჩვენი ჯერ ნორჩი სცენისადმი და გულგრილობას კი დაღუპვა ამ სცენისა.

* * *

მთიდგან გვატყობინებენ, რომ ბილეთის აღებზედ ხალხს მეტად ავიწროვებენო. სამოჯამაგიროდ წასვლა რომ უნდოდეს ვისმე, ჯერ უნდა შეატყობინოს თუ ვისთან აპირებს დადგომას და ბილეთს შემდეგ მისცემენო.

* * *

ტფილისში მოვიდა ცნობაო, იწერება „კავკაზი“, რომ ახალი უფროსი ქართლ-კახეთ-იმერეთის სომხების ეპარქიისა, ეპისკოპოსი არისტაკეს სედრაკიანი 15 თებერვალს გამოვიდა ეჩმიაძინიდამ და ამ დღეებში ჩამოვა ტფილისშიო.

* * *

ტფილისის პრიუტის დამცველთ-საზოგადოება იწვევს ბ.ბ. წევრთ საზოგადოებისა დაესწრონ საზოგადო კრებაზედ ხსენებულის საზოგადოებისა 20 თებერვალს, საღამოს 7½ საათ., საშეურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში. სთხოვენ ბ.ბ. წევრთ იქონიონ საწევრო ფულის გადაცემა ხაზინადარის ყასუმოვისადმი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან შემდეგი მიმართვა ჩვენი საზოგადოებისადმი:

„ამ ჟამად ჩვენ ვბეჭდავთ დედაენს ქართულ წერისასა. ამ დედაენის უკანას-

---

ზის ამბავს მოყვ. რაში მეკნაჭება ტ-ტუას ცოლი და იმი დედა, თვალები გამოხეთქიათ.

მარუა. დაიცა ერთი რაში გეშურება, რა ფუფა გაეცივებია? ახლა დავბრუნდით ბინაზედ თუ არა, გავაჩაღეთ ლხინი და დავკარით დაირას, იხუვა იმოდენა ერის ჩალხმა სულ თავს დაგვედო. იაკა ბუზიკას უკრავდა, მე დიპლიპიტოს, ჩვენი პატარძალი დაირას, გავმართეთ ლხინი, მაგრამ რა ლხინი, რომ იმოდენა პატარძლები, დასანიშნი გოგოები, ვაჟები სულ ჩვენთან გამორბოდენ. ერთიც ვნახოთ იაკას ნაცნობი ყოფილიყვნენ ქალაქელი ბიჭები, მოკრეს თვალი თუ არა იაკას, ჩვენთან იყო, გადაეკიდენ თურმე, ეხვეწებოდენ ჩვენც თქვენთან მიგვიყვანეო....

სოფუა. მერე, მოიყვანა?

ფეფელა. ჰო, რად მოიყვანდა უცხო ახალგაზდებს?

მარუა. გეთაყვა, რა უშავდა, ბიძაშვილი იქა მყვანდა, ძმა და რძალი. იაკა შეეხვეწა პეტრიასა, ჩემი მეგობრები არიან და პური ერთად ვჭამოთო.

ფეფელა. თუ ნაცნობები იყვნენ, რა უშავდათ.

მარუა. მაშა, გეთაყვანე უცხოებს რად მოიყვანდა! ახლა გოგოებო, დამიწყეს ცქერა და აღარ მომაშორეს თვალი. ისე გავათავეთ ლხინიც და ხადილიც, შიგ პირში მიცქეროდენ, თავი მაღლა ვეღარ ავიღე.

სოფუა. აი, შენმა კვნესამა, რამდენი შენ შეგრცხვეს რისამე! აი, თუ შენ უფრო გიხაროდა, იმითანა ახალგაზრდები გიცქეროდენ.

ფეფელა. მაშ არა და.

მარუა. თქვენმა სიცოცხლემ, სოფუა ვიყავი არა?

ფეფელა. სოფუა თორემ, მარუას ხომ პირი დაეწოდა სირცხვილითა. ახლა თინასა ჰკითხე, როგორ გრცხვენოდა და თავი მაღლა ვერ აგეღო?

მარუა. თინას რა უნდა ვკითხო-ქა, რას იტყვის ჩემზედ, რა აქვს სათქმელი?

სოფუა. რას იტყვის? მე შენ გითხრა, გაუჭირდება რისამე მოჭორება! ჩემი მტერიც ჩავარდნილა იმის ყბაში! ათი წლის ცივებ-ცხელება მირჩევნიან იმის ყბათ აღებას: ბოლოკივით ძირიანად ამოაგდებს, ვისაც გადაემტერება, ურ, იმი კუდიანი თავიც მამკლომია...

მარუა. ქველანი კარგები არიან, თინაც და სხვანიც!.. ვინც ილაპარაკებს, ისიც ილაპარაკებს. მაგრამ, ვენაცვალე ღმერთსა, იმათზედ უფრო ბევრსა ლაპარაკობს, ვინც მოულოლიებს და არაყსა და სხვა რამეებს მიართმევს ხოლმე.

სოფუა. მე იმწავე კრიჭაში მიგიხვდი, ქალბატონო ვისაც გადაჰკარი! აი შე უბედურო, ასე გგონია, თქვენსავით ღვარძლიანი იყოს ვინმე!.. მეხი თქვენც დაგაყარეთ და ვინც თქვენზედ ალაპარაკებდეს რასმეს იმისაც!..

მარუა. შე რა კუდი მოგეწვა და ცეცხლი წაგეკიდა?

ფეფელა. ცოტასათვის ჩხუბს ნუ მოშლით! რა ღმერთი გიწყრებათ, თუ ჩხუბი არ ატეხეთ, ხომ ვერ მოისვენებთ! თვალი თინასაც დაუდგა და იმის გასაგისაცა. რა დაგემართათ, რა გაჩხუბებთ!

სოფუა. მარა, თუ არავის გადაწვდა, როგორ იქნება. მაგას სხვა რამის ჭვალი ადგია გვერდებში...

ფეფუა (თვალს უზამს). მაგან ეგრე იცის ყველაფერში!..

მარუა. გეთაყვა რას ამბობ? შენ არ იცი, რა ამოსაწყვეტები არიან! შეხ-ქვეშ ორმოს მითხრიან, მამა არ წამიწყდება. ადრევე ამისი დედა თურმე ეუბნებოდა ჩემს ძმას, რა არისო, რომ შიდას რძლისაებ ყოველ კვირეში ორჯელ ინას იდებსო თავზედაო! ერთი, თუ ის ძუძუ დამწვარი არ არის, კაცს რას ელაპარაკება, სირცხვილი არ არის?

ფეფელა. ი, რა ვიცი გეთაყვანე, ზოგს რა ხასიათი აქვს.

სოფუა. იმდენი შენმა ქალობამ იკვნესოს და ივალოს, რომ დაიგოს ქირის ლოგინი და ველარ აილაგოს, რამდენი დედაჩემს ეგ სიმტრით არ მოსვლოდეს! რა შენი ოტლომაზეშა თავი შეშურდებოდა, თუნდა ფეხზედაც დაიდე. კაძჩვით რომ დაილაზნები.

მარუა. ხმა გაიწყვიტე, თორემ გაგაკამეჩებ და გაგახარებ, სასიკვდილევე!

სოფუა. მე კი ვერც გამაკამეჩებ და ვერც გამახარებ, მაგრამ შენ-კი გეშინოდეს, თუ უთხარი!..

ფეფელა. დაანებე თავი, არ იცი მაგათი ანბავი, წამო წავიდეთ.

კნილს განყოფილებას შეადგენს ნიმუშები საუკეთესო ხელთ ნაწერების, ძველისა და ახლისა. ამ გვარი ნიმუშები ბლომად იპოვება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში," საცა მოგროვილია მრავალ გვარი ხელ-ნაწერი. მაგრამ შეიძლება, რომ ქართველს საზოგადოებაში ზოგიერთ პირებს ჰქონდეთ კიდევ უფრო ჩინებული ხელთ-ნაწერები. დიდად დაგვავალებენ ეს პირნი, თუ თავის ხელთ-ნაწერებს მოგვაწოდებენ ჩვენ ძვირფასის ვადით. უნდა გამოიგზავნოს ან მთელი ხელთ-ნაწერი, თუ იგი წიგნად არის შეკრული, ან ცალკე ფურცელი მისი და ან პირი, ხელოვნურად გადაღებული. თვითეული ხელთ-ნაწერისა საკმარისია მივიღოთ ათიოდე სტრიქონი. ტფილისის გარეშე მცხოვრებნი პირნი ჩვენგან მიიღებენ გაგზავნისს ფასსა, ან პირის გადაღებისასა, თუ იგი მცოდნე პირის ხელით სწორედ—ასლად იქნება გადაღებული. ნიმუშები გამოგზავნილ უნდა იქმნას მომავალი მარტის თხუთმეტამდის, რადგანაც ამ დროიდგან დაიწყება დედნის უკანასკნელი განყოფილების მოთხრა ლიტოგრაფიის ქვაზედ. ნიმუშები დაუბრუნდებათ გამომგზავნელთ მომავალი აპრილის დამლევამდის უთუოდ. ჩვენი დროის კალიგრაფების ხელიც იქნება ჩართული დედნის ბოლოს, სახელისა და გვარის გამოცხადებით. ამიტომ, თუ რომელიმე კალიგრაფი მოისურვებს თავისი ხელი მოაქციოს ჩვენს დედანში და ამითი დაეხმაროს მის სისრულეს, უნდა შვიდიოდე სტრიქონი საუკეთესო წვრილი ნუსხურის ხელით დასწეროს და გამოგვიგზავნოს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, სხვათა შორის, დედანში მოვაქციოთ განსვენებული არქიმანდრიტი ტარასის ხელი, რომელიც მშვენივრად სწერდა ქართულსა. ამისთვის წარსულს ზაფხულს შვათახევის მონასტრიდგან წამოვიღეთ ერთი მისი ხელთ-ნაწერი; მაგრამ მონასტრის ბერებმა გვითხრეს, რომ ნამდვილი მისი ხელი, საგანგებოდ წვრილი, იპოვება მისგან შედგენილს დედანშიო. ეს დედანი თურმე რამდენიმე წელიწადია ბატ. გიორგი წერეთლის ხელშია. ვთხოვთ ბატ. გიორგი წერეთელს ცოტას ხნობით გამოგვიგზავნოს ან მთელი დედანი არქიმან. ტარასისა, ან ის ფურცელი, რომელზედაც არის მოქცეული მისი ნუსხური ხელი... ჩვენი ადრესი: ტფილისს, იაკობ გოგებაშვილს, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში".

***

„შრომა" გვატყობინებს ერთ შემაძრწუნებელ ამბავს, რომელიც ქუთაისში მომხდარა ამას წინედ:

ერთს ბებიასთან ღამე მისულან მასკით ორი კაცი და უთხოვიათ მშობიარესთან წაყოლა. ბებია თვალებ-ახვეული ჩაუსვამთ ფაეტონში და როდესაც მიუყვანიათ სახლში ავად-მყოფი კიდეც მორჩენილიყო მშობიარობას. ბებიისათვის წინადადება მიეცათ, ყმაწვილი მას წაეყვანა თავისას და თავისთვის, მაგრამ ის უარზედ დამდგარიყო; მაშინ სახლის პატრონებს აღლოთ ახლად-დაბადებული და... ცეცხლში დაეწვათ! ბებიას ის კი ეთქვა, რომ მაგრე რომ მცოდნოდა წავიყვანდიო; მაგრამ რაღა დროს... ამის შემდეგ ბებია იმ გვარადვე მიეყვანათ სახლში... ამბობენ, ბებიას უთქვამს, რომ ისე წამიყვანეს, რომ ვერც სახლს ვინიშნებ და ვერც სახლის პატრონებს ვიცნობო...

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** „ძირს სენატი!.. აღარ საჭიროებს"!.. ამ გვარი გაძახილი წარმოათქმევინა საფრანგეთის რესპუბლიკის სენატმა უკიდურეს მარცხენა დასის გაზეთებს პრინცების რბილად მოპყრობით, მათის (თითქმის) შეწყნარებით. კლემანსოა ერთი ამ გაზეთთაგანის ხელმძღვანელი. მაგრამ ამავე უკიდურეს მარცხენა ბანაკიდამ გამოისმის ის ხმაც, რომ ამ გვარი გალაშქრება სენატზე ჯერ-ჯერობით ადრეა, რადგან ბევრნი ერთგულნი რესპუბლიკისა მიეკედლნენ სენატის გადაწყვეტილებას პრინცების შესახებ. ამ გვარი გალაშქრება ეხლა სარგებლობას უფრო მისცემს პრეტენდენტებს, და დემოკრატიას-კი ავნებსო. ეგრევე ბჭობენ რესპუბლიკური და დემოკრატიული გაზეთებიც. მხოლოდ, დასძენს გაზ. *République Française*-ი ამ საგანზედ ბაასის დროს, პრინცები შეცდებიან, თუ იხელმძღვანელეს, საკვლაოდაც დაიმედდენ მით, რომ ეხლა მშვიდობიანად გადარჩენ, არა დასჯა მიეყენათ-რა. პარტია თვალს ადევნებს მათო. იგი, თუ საჭიროება მოითხოვს, ძალისაც დაატანევს მართებლობას, რომ ამან პატივი სცეს რესპუბლიკას. და საფრანგეთიც დაენდობა პალატასაო.

არა მცირედად დაუმშვიდა გული რესპუბლიკის პრეზიდენტს გრევისს, რომ ჟულ ფერრიმ შეიწყნარა მისი თხოვნა და შეადგინა კაბინეტი. გრევიმ მთელი იმედი დაამყარა ეხლა ამ კაბინეტს, ის აღარ მოელის მიიღოს ხელ-მეორედ მილიონების მატრიალებელთაგან საფრანგეთში ისეთი ადრესი, რომელმაც მაზედ ერთობ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს კაპიტალისტები გამოსთქმიდენ ხსენებულ ადრესში, რომ ეს საფრანგეთის საქმეების არევ-დარევა, დაუდევ[illegible] მინისტრო კრიზისი დასცემს [illegible] პოლიტიკურის თუ ეკონომიურის მხრით. საფრანგეთს ნდობაც დაეკარგება ევროპაში და დიდებაც მოაკლდებაო. ეს ფულიანი ხალხი ვედრიდენ პრეზიდენტს ამ ადრესში, მოიგონოს მან, რომ იგი იმიტომ იყო ამორჩეული პრეზიდენტად, რომ საფრანგეთი ხედავდა მასში წესიერების, რიგისა და წყობილების დამცველს.— მით უფრო შეაფიქრაო გრევი ამ გვარმა მიმართვამ მისდამი, თუ ალბად მოაგონდაო, რომ სწორედ ამ გვარივე ადრესით 1877 წელს აპრილში მიჰმართეს მაშინდელ პრეზიდენტს მარშალ მაკ-მაჰონ და სწორედ ერთი თვის შემდეგ კიდეც დასთმო მან პრეზიდენტობა.

**სპარსეთი.** სპარსეთის შაჰს განუზრახავს ხელ-ახლავ მოიმგზავროს ევროპა. შაჰი წინაპირველ გაემგზავრება მოსკოვს რუსეთის იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებად და შემდეგ აქედამ გადავა ევროპაში: ვენაში, რომში და აქედამ სტამბოლით დაბრუნდება თვის საბძანებელში.

**ინდოეთი** (ინგლისისაგან დამოკიდებული) „ინდოეთი ინდოეთლებისათვის"!.. ეს ხმა არ იშვიათად, თუმც ფრთხილად განისმის ინგლისისაგან დამოკიდებულს ინდოეთში, მაგრამ ინგლისის პოლიტიკოსების ყურადღება მაინც კიდე მიიქცია ამ ხმამ. ზოგიერთ ინგლისურ გაზეთებში გადაბეჭდილია სტატია, რომელიც ერთ წარჩინებულ ინდოეთურს გაზეთ *Progresse*-ში ყოფილა დაბეჭდილი. აი, სხვათა შორის, ზოგიერთი ადგილები ამ სტატიიდამ: „ჩვენი მხრის საჭიროე-

---

**მარუა.** მალე ამოიდგა ენა მაცინდლიანმა? არა გნებავს, შუა-კაცობა გაგვიწიოთ ჩვენი პატარძლის მამიდაშვილზედ?.. აბა, შე უბედურად გასატარებელო, იმან რომ დაგიწუნოს და არ შეგირთოს, ჩვენ უნდა გადავგვემტეროთ? მეხი კი ჩაგთხლიშე მაგ უბედურს თავშ!

**სოფუა.** ხედავთ, რაებს მიქარავს! მერე მეხი კი დამეცეს ამ თავში, რომ ან კი გულში გავიტარო იმის შერთვა! ზეთაყვა ქალის მოდგმისა რომ არ შევირთო, ქვეყანაზედ კაცი გაწყვეტილა!

**მარუა.** დაიცა თუ ქალის მოდგმისა არის, კიდევაც მოგინდება ქალის ბადადები და ჩაქალები თუ ქალია იმას მონახევი არ უნდა მოიხვიო.

**ფეფელა.** ძაღლებმა შეგჭამოთ ორივენი. დაგწყევლოს ღმერთმა, აღარ გახუმრებით თუ რა არის?

**სოფუა.** მხლა ამოიდგა ენა როცა მარაქაში გაერია. მაგისი მამა მინამ ცოცხალი იყო, არ იცოდენ, სალოცავის კარი საით იყო და საით არა. სამი წელიწადი დაბნედილი ეგდო ძველი-ჭეშმარიტისგან, არ მიიყვანეს, და არ ალოცეს რა დიდი მანძილი იყო, ორი ფეხის გადადგმა არ არის; მაგრამ ისეთი ავყია კაცი იყო მაგისი მამა, რომ მაგის დედას ჩაშხამებული ჰქონდა წუთი სოფელი: მერე წაფლეს თუ არა ტფილოსავებ თავი მამა, რძალიც მაიყვანეს წლის თავზედ ჯვარობებშიაც კუნტრუში დაიწყეს... თქვენი კოჭზიც ვიცი და ცოცხვიც...

**ფეფელა.** მკვდრები რომ არ ახსენოთ, არ იქნება?!

**მარუა.** იმას მოეწიოს მაგის ქალობა! (ტირის) და ნუ გაიხაროს მაგან თავის წუთი სოფელში! მკვდრებსაც რომ მიხსენებს!..

**სოფუა.** იტირე, შენმა სიცოცხლემ, ოქროს ცრემლები გადმოგცვივა... ჭირი მამჭამე, თუ იტირებ!

**ფეფელა.** წავიდეთ, კარგი! რა ღმერთი გამიწყრა, და თქვენთან მოვედი. (მარუას) კარგია ერთი, გეხუმრებოდა, რა გატირებს?

**მარუა.** კარგი ხუმრობა არის მაგის სიკვდილმა, მკვდარი მამა საფლავიდამ ამამიგდო! დაიცადოს ნოლაიამ...

**ფეფელა.** კარგაა ახლა, შენც უთხარი, მაგანაც გითხრა. ადე, წავიდეთ, აგერა ნახირი მოდის: როდი უნდა გეწყინოს.

**სოფუა.** მა რა, ეგ ბატონის ქალი ბძანდება, მაგის სიტყვა კი არ არის საწყენი და ჩემი სიტყვა ლახვარივით ეცა გულში...

**მარუა.** გული გაგიხმა!

**ფეფელა.** (სოფუას) კარვი, ერთი თვალიმც დაგიდგება, ძლივს დავაჩუმე!

**მარუა.** დაიცადე ქაჩალი კიდევ მივა მექუდესთანა!

**სოფუა.** ქაჩალი თქვენკენ მოიკითხეთ.

**ფეფელა.** აი, ქრისტემ შეგაჩვენოთ! მეორედ ატყდენ ეს გასაწყვეტნი.

**მარუა.** შენი კარგი ქალობა შენს ძაღლუებსა ჰკითხე...

**ფეფელა.** მე კი წავალ და ასემც გიქნიათ ერთმანეთი დაგეჭამოთ, თქვენ რაღა მოგაშორებთ! (მიდის).

**სოფუა.** წავიდეთ ამას რაღა მოლალავს, ხელ მეორედ აეშვა.

**მარუა.** დაიცა, დაიცა: (მიდიან სოფუა და ფეფელა) შენც ხომ მაგას შეუძვერ ფეფელავ, მოგაგონებ, გახსოვდეს.

**ფეფელა.** თვალი შენც დაგიდგა ამასაც, მე ჩემს სახლში მივდივარ, მე რაღას გადმომწვდი!

**მარუა.** სულ შენა ხარ, შე გველაძუავ, შენ. ჩვენ ერთმანეთს წაგვასისინე და შენ კი სეირს უცქირე.

**ფეფელა.** ეგან ხმა გაიწყვიტე, ძმა არ მომიკვდეს, თორემ მეკი კაკალანთ სოფუა არა ვარ, ასე გაგიხდი მაგ თავსა, კოლოები გეხვეოდენ, შე პავლია იმერლის საყვარელო, შენა?

**მარუა.** გახსომს, შობა ღამეს სომხინთ ლანბად არტუამ გაკოცა ჯოჯოლანთ ბანზედ. გგონია არ მახსოვდეს!

**ფეფელა.** არ გესმის გაჩუმდი მეთი, შე წილჩარტიანო, შე რუსის მათუშკავ შენა. (გაკაპასებული მიიწევს).

**მარუა.** შე თეძო მოტეხილო, შენა, გახსოვს ჩვენებიანთ ოდაში...

**ფეფელა.** აი, თუ ოდაში... (მივარდებიან ერთმანეთსა და ბუწუწებს აგლეჯენ).

**სოფუა.** (ტაშის კვრით გარბის, ხტუნაობს თან უკან იხედება.) ძიგი, ძიგი, მამალა შენ იცი და მაგანა! ძიგი, ძიგი, მამალა შენ იცი და მაგანა ჩემი არა ბრალია!..

ნატ. გაბუნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანი დღითი-დღე შესამჩნევად იზრდებიან. ინგლისის მართლ-მსაჯულება ერთობ ძვირად უჯდის ჩვენს გლეხს და ცარცვა-გლეჯა სისხლის მწოველებისაგან ვერ აუცდენია მას თავიდამ. დანაშაულობანი რაც ხანი გადის უფრო ვრცელდება, რადგან საქმეთა წარმოებას მართებლობისაგან დაარსებულს სასამართლოებში, შორე სოფლებში არავითარი გავლენა არ აქვს და სამძიმოდაც უჩანს ხალხს. შეუბრალებელის სისასტიკით აწერენ ხალხს გადასახადს, დაუხედავად ცუდის მოსავლისა. ამ გვარის მოპყრობით ჩვენ დღითი-დღე ვღარიბდებით, ჩვენს ქონებას სხვანი ჰფლანგვენ, ჩვენ განადგურება გვექადის. ვითხოვთ თავის უფლებას, განერთებას ინდოეთისა, რომელსაც ჰმმართავდენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ჩვენი ქვეყნის მცოდნენი." — ინგლისის სიმდიდრისათვის დიდს განძს შეადგენს ინდოეთი და ამიტომაც ინგლისელი გაზეთები ურჩევენ მართებლობას ეს ხმა ქვეყნისა უყურადღებოდ არ იქმნეს დატოვებულიო.

# განცხადებანი

ლითოგრაფიული სურათი

## თამარ-მეფისა

იყიდება შტვენკოს ლითოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის — 30 კაპ. (3—2)

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და იყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

**ინგლისურ-ბულგარიული ბუთნები**

მიღებული ინგლისიდამ და იყიდება თ. ა. პეპინოვის კანტორაში არწრუნის გალერეაში. (5—1)

---

## ე. ფ. აუფერმანის

მაღაზიაში

ერევნის მეიდანზე, ღენ. ტერ-ასატუროვის სახლებში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

## საკერავი მაშინები

უასლერსის სისტემისა, ოჯახისთვის სახმარებლად, დერციკებისათვის და სხვ. და სხვ. ხელობისათვის. ეს მაშინები, განსაკუთრებულის აქციონერულ საზოგადოებისა ადრე ფრისტერ და როსმანისა, მოწყობილი არიან საუკეთესო, მოთავსებულ, წარმატებულ პატენტიან სახვევით და სხვ. აპპარატებით. რადგან ნისიად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაიცემა ეს მაშინები და ბევრი სხვა მიზეზებიცაა ამიტომ ისყიდებიან, რაც შეიძლება იაფად.

კარგი მუშაობისათვის და თვისებისათვის მაშინებისა პასუხის მგებელია მაღაზია.

ქერმოდ ხარაზებისათვის ისყიდება აგრეთვე მანცფელდის მაშინები.

კლარკსის ძაფები, ზეთი და ნემსები სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებისათვის, და აგრეთვე სხვა წვრიმანი საჭირო ნივთები ისყიდება ცალკ-ცალკედაც.

**იქვე ისყიდება კუხნის ჭურჭლეულობა ემალით ნაკეთები.**

საკამისიონერო და სააგენტო ანილინის საღებავებისა, რკინეულობისა, ჭურჭლეულობისა, ხერხებისა და სხვა-და-სხვა სამუშაო ხელთ-საწყობთა. (10—8)

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—49)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

ა ხ ა ლ ი

## წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეა № 149, 150 ბ. ჯუაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველგვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—4)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. გრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

## „ციკო"

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების" რედაქციაში. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპეიკად. (10—5)

---

**ინგლისური რკინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—23)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

**ტაქსია**

საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 15 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Февраля 1883 г. Типографія Мсликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი